საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან ნემსაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან ნემსაძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნინო ქადაგიძეს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 2 ივლისის №1/53 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/75 განკარგულების საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 1 აგვისტოს ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად, მხარი დავუჭირე ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციისა და კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად მიმაჩნია, რომ ნიკოლოზ მარსაგიშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. ამასთან, ჩემს მიერ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი შეფასებულ იქნა **94**

ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 94%-ს შეადგენს; ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო შემაჯამებელი რეიტინგის მიხედვით კანდიდატმა დააგროვა 1302 ქულა, (მაქსიმალური შეფასების 93%) და საერთო რეიტინგში დაიკავა პირველი ადგილი.

კანდიდატ ნიკოლოზ მარსაგიშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის დიდი გამოცდილება და ამავე დროს არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი. იგი არის მიზანდასახული, სამართლიანი, პრინციპული, შრომისმოყვარე პიროვნება; სასამართლო სხდომებს უძღვება სათანადოდ, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს; არის პრინციპული და შეუძლია ემოციების მართვა; ორიენტირებულია მუდმივ თვითგანვითარებაზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნულ შეფასების პროცესში, ასევე დადებითად შეაფასეს კანდიდატი და მიიჩნიეს, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს როგორც კეთილსინდისიერების, ისე კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატის მიმართ არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებს მის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ნიკოლოზ მარსაგიშვილი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად.

პატივისცემით,

ლევან ნემსაძე

01 08 **2024წ.**